

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ვამტკიცებ
რექტორი



მ.ბატიაშვილი
5.10.2016

M-2.2016

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თბილისი
2016

შინაარსი

1. ზოგადი დებულებები	3
2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები	3
3. სწავლების ენა	3
4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა	4
5. სასწავლო პროცესი	5
6. სტუდენტის სტატუსის მოპოვება	6
7. სასწავლო სემესტრი და სწავლის საფასური	7
8. სტუდენტის შეფასების წესი	8
9 შიდა და გარე მობილობა	9
10. კრედიტების აღიარება	10
11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება	13
12. სტატუსის შეწყვეტა	13
13. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები	14
14. აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები	14
15. აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მინიჭება	15
16. პროგრამის შეცვლა ან გაუქმება	15
17. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება	16
18. დიპლომის, მოწმობის გაცემა	16
19. დასკვნითი დებულებები	16

1. ზოგადი დებულებები

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურულ საკითხებს. განსაზღვრავს სტუდენტის მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარების, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ პირობებს, სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესებს, ადგენს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთვალდებულებებსა და განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებს;
2. უნივერსიტეტი წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულებაში მოქმედი აქტების შესაბამისად;
3. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესრულება ევალება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ყველა მონაწილეს - აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს;
4. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვას ახორციელებენ: უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
5. ფაკულტეტი შეიმუშავებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს შესაბამის სასწავლო გეგმას, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას, სასწავლო წლის დასაწყოსში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის, ახორციელებს სტუდენტთა ინფორმირებას ნებისმიერ საჭირო საკითხზე.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები

1. უნივერსიტეტი ახორციელებს „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტში მოქმედი აქტების შესაბამისად გათვალისწინებულ:
 - საბაკალავრო
 - სამაგისტრო
 - სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამებს.

3. სწავლების ენა

1. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. სწავლების დამატებითი ენის წარმოშობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება რექტორის დადგენილებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებია:
 1. უნივერსიტეტის დასახელება;
 2. პროგრამის დასახელება;
 3. პროგრამის შემუშავების თარიღი;
 4. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია;
 5. პროგრამის ხანგრძლივობა;
 6. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა;
 7. სწავლების ენა;
 8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
 9. პროგრამის მიზნები;
 10. კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები;
 11. სწავლის შედეგები;
 12. სწავლების მეთოდები;
 13. პროგრამის სტრუქტურის დეტალური აღწერა;
 14. პროგრამის კომპეტენციათა რუკა.

2. უნივერსიტეტის სილაბუსის სავალდებულო მოთხოვნები:
 1. სასწავლო კურსის სახელწოდება;
 2. სასწავლო კურსის კოდი;
 3. სწავლების საფეხური;
 4. კურსის ტიპი - სავალდებულო/არჩევითი/მაინორი;
 5. ინფორმაცია სასწავლოს კურსის ხელმძღვანელის შესახებ;
 6. კურსის ხელმძღვანელთან ინდივიდუალური კონსულტაციის დრო;
 7. სასწავლო კურსის მიზანი;
 8. სწავლების მეთოდები;
 9. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა;
 10. სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
 11. სასწავლო კურსის მოცულობა ECTS კრედიტებში;
 12. საკონტაქტო და დამოუკიდებლად სამუშაო დრო;
 13. შეფასების სისტემა;
 14. ცოდნის შეფასების კრიტერიუმები;
 15. სასწავლო კურსის შინაარსი - თემატიკა კვირების მიხედვით;
 16. სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.

5. სასწავლო პროცესი

1. სტუდენტის დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სემინარზე დასწრებას, დამოუკიდებლად - ინდივიდუალურად და ჯგუფურად მუშაობას, პროფესიულ პრაქტიკას, გამოცდებისა და სილაბუსით გათვალისწინებული სხვა აქტივობების მომზადება/ჩაბარებას;
2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოყენებული ერთეულია კრედიტი;
3. საკრედიტო სისტემის შესაბამისად სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 ასტრონომიულ საათს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში;
4. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც სტუდენტის მიერ ორგანიზებულ გარემოში გატარებული თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას (საკონტაქტო საათები) ასევე სტუდენტის მიერ ინდივიდუალურ მუშაობას (დამოუკიდებელი მუშაობის საათები);
5. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით;
6. სასწავლო – აკადემიური წელი გათვლილია 41 კვირაზე, რომელიც მოიცავს სალექციო პერიოდს, დასკვნით და დამატებით გამოცდებს;
7. სალექციო პერიოდი მოიცავს 13-15 კვირას, რომელშიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსით განსაზღვრული სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, კონსულტაციები);
8. სასწავლო კვირები ეთმობა სააუდიტორიო მეცადინეობებს, შუასემესტრულ შეფასებებსა და კონსულტაციებს;
9. აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორი ვალდებულია სწავლება და სტუდენტთა შეფასება განახორციელოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსის საფუძველზე;
10. უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ათვისების უზრუნველსაყოფად აფორმებს მემორანდუმებს ან/და სიტყვიერ შეთანხმებას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო მსხვილ ორგანიზაციებთან;
11. სტუდენტები ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და არჩეული სასწავლო კურსების მიხედვით გადანაწილდებიან ჯგუფებში.

6. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები და შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული წესი;
3. დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული წესით;
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს ან მაგისტრანტობის კანდიდატებს, უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
5. სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ, აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში;
6. ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტმა ან მაგისტრანტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტს რეგისტრაციისთვის, დადგენილ ვადაში;
7. სტუდენტი გადის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას. რეგისტრაციის პერიოდი და ხანგრძლივობა განისაზღვრება რექტორის აქტის შესაბამისად;
8. რეგისტრაციის პროცედურისა და ვადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რექტორის მიერ აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში;
9. რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ასევე მაგისტრატურის შემთხვევაში, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ, უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის იდება ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები. რექტორი გამოსცემს ბრძანებას დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების შესახებ;
10. ადმინისტრაციული რეგისტრაცია იწყება სემესტრის დაწყებამდე რექტორის მიერ დადგენილ ვადებში და გრძელდება 2 კვირის განმავლობაში. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს სტუდენტი ვალდებულია, გადაიხადოს სემესტრული სწავლის საფასური სრულად ან ნაწილობრივ, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს არ ექნება აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება;
11. აკადემიური რეგისტრაცია იწყება სემესტრის დაწყებამდე, რექტორის მიერ დადგენილ ვადებში და სრულდება სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი უნივერსიტეტის ბაზასთან (Btuclassroom) პირადი წვდომის საშუალებით რეგისტრირდება/ირჩევს შეთავაზებულ საგნებს. სტუდენტს

რომელსაც არ ექნება გავლილი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, არ ექნება ბაზასთან წვდომის და აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება;

12. რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;
13. სტუდენტი, რომელიც არ მიმართავს უნივერსიტეტს რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ ვადებში, უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის პირველი ივნისამდე. რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაუშვას პირი სასწავლო პროცესზე. რექტორის აქტი იგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

7. სასწავლო სემესტრი და სწავლის საფასური

1. სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან;
2. სემესტრის ზუსტი ვადები რეგულირდება რექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა აისახოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ბრძანების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღეში;
3. სასწავლო წლის დაწყებამდე, რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სააუდიტორიო მეცადინეობისა და საგამოცდო პერიოდის ვადები;
4. სტუდენტის დატვირთვა ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 30 კრედიტს;
5. სტუდენტს, რომელმაც პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება აქვს თვითდაფინანსების გზით დაასრულოს პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში;
6. დამატებით სემესტრებში სტუდენტი იხდის არსებულ სემესტრულ გადასახადს, რომელიც დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით;
7. საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტის ღირებულება განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;
8. ყველა დონის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური დგინდება რექტორის ბრძანებით;
9. საქართველოს ან უცხოეთში მოპოვებული კრედიტების აღიარება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული კრედიტების აღიარების წესის მიხედვით.

8. სტუდენტის შეფასების წესი

1. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, სტუდენტის შეფასება და შეფასების კრიტერიუმების გაწერა ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ;
2. სტუდენტის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
91%-ზე მეტი	A - ფრიადი	დადებითი
81-90%	B - ძალიან კარგი	დადებითი
71-80%	C - კარგი	დადებითი
61-70%	D - დამაკმაყოფილებელი	დადებითი
51-60%	E - საკმარისი	დადებითი
41-50%	FX- ვერ ჩააბარა- სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	უარყოფითი
0-40%	(F) - ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი	უარყოფითი

3. სტუდენტი დაიშვება დასკვნით გამოცდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ გამოცდაზე მის მიერ მოპოვებული უმაღლესი შეფასების გათვალისწინებით მას უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა;
4. გამოცდების აღდგენა ხდება მხოლოდ საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და დეკანის სახელზე დაწერილი განცხადების სასწავლო დეპარტამენტში წარდგენის საფუძველზე;
5. საპატიო გაცდენის მიზეზი შესაძლებელია იყოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სამსახურებრივი მივლინება, სტიქიური უბედურება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა დოკუმენტაცია რომელიც ადასტუდებს სტუდენტის მიერ გამოცდაზე დასწრების შესაძლებლობის არქონას, გამოცდის მსვლელობის დროს;
6. გადაწყვეტილებას გაცდენილი გამოცდის აღდგენის შესახებ იღებს დეკანი;
7. გაცდენილი გამოცდები აღდგება გამოცდის ჩატარებიდან 2 კვირის განმავლობაში;
8. სტუდენტი დაიშვება განმეორებით გამოცდაზე, თუ მან საბოლოო გამოცდის შეფასების ჩათვლით სემესტრულად დააგროვა 41-50 ქულა;
9. გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;
10. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით და აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA)

11. სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით:

$$GPA = (X-50) \times 0,06 + 1$$

სადაც X არის სასწავლო კურსში მიღებული ქულა.

GPA-ს გამოთვლის წესი:

რიცხვითი ექვივალენტი	ქულა %
100	4
99	3,94
98	3,88
97	3.82
X	$(X-50) \times 0,06 + 1$
51	1,06
1-50	0

12. GPA გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება;

13. სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა სემესტრული GPA, როდესაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებაც;

14. სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტების შემაჯამებელი საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:

$$GPA \text{ (შემაჯამებელი)} = (\sum \text{თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{შესაბამის კრედიტზე}) / \text{ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე};$$

15. GPA -ზე დაყრდნობით, სარეიტინგო მონაცემებს ამუშავებს სასწავლო საქმეთა დეპარტამენტი.

9. შიდა და გარე მობილობის წესი

1. უნივერსიტეტის სტუდენტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სხვა პროგრამაზე გადასვლის (შემდგომში - შიდა მობილობა) შემთხვევაში, ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტი;

2. შიდა მობილობის განხორციელება, რექტორის ბრძანებით, სტუდენტს შეუძლია სწავლის დაწყებიდან ერთი სემესტრის შემდეგ;

3. გარე მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N 10/ნ, (2010 წლის 4 თებერვალი ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ).

10. კრედიტების აღიარება

კრედიტების აღიარების პრინციპები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსული/აღდგენილი სტუდენტების კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

1. ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა;
2. სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა;
3. საუნივერსიტეტო კურიკულუმთან შესაბამისობა და თავსებადობა.

კრედიტების აღიარების პროცედურა

დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ერთი წლის ვადით იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია ან კომისიები, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც შედიან:

1. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);
2. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
4. ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის საქმიანობას წარმართავენ მისი თავმჯდომარე და მდივანი. ამ უკანასკნელს ევალება სხდომების ოქმის წარმოება. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომისიის დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი. კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს წარდგინებას კრედიტების აღიარების თაობაზე. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ნიშნების ფურცელში სასწავლო კურსის სახელწოდება მითითებული უნდა იყოს სრულყოფილად და გარკვევით. სათანადოდ დამოწმებული ნიშნების ფურცელი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით. მითითებული უნდა იყოს ის კონკრეტული უცხოური ენა, რომელიც გავლილი აქვს სტუდენტს. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია, სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები. სტუდენტებს უღიარდებათ:

- ა) ე. წ. საფაკულტეტო საგნების კრედიტები (იგულისხმება ის საფაკულტეტო საგნები, რომლებიც სტუდენტს ანიჭებს ამა თუ იმ აკადემიური ხარისხის მისაღებად საჭირო ზოგად დარგობრივ კომპეტენციებს. მაგალითად, ბიზნესის , ტექნოლოგიების ბაკალავრი და სხვ.);
- ბ) სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები;
- გ) სტუდენტს შესაძლებელია, გაეწიოს რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით (ე. წ. minor) საბაკალავრო პროგრამას შეესაბამება მისი ე. წ. თავისუფალი კრედიტები. იმ შემთხვევაში, თუ ბაკალავრიატის სტუდენტს სურს დამატებითი (ე. წ. minor) პროგრამის გავლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აღიარებული კრედიტების რაოდენობის ცვლილება, მაშინ გადმოსულმა სტუდენტმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს.

კრედიტების აღიარების რეგულაციები:

1. სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება მოხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად;
2. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსების მოთხოვნა არ ვრცელდება აღდგენილ სტუდენტებზე;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა;
4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად;
5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის მოქმედი კურიკულუმი (მაგალითად, თუ სტუდენტს მოსმენილი აქვს ესა თუ ის 10 კრედიტიანი კურსი, ხოლო უნივერსიტეტში ანალოგიური კურსი 5 კრედიტიანია, მაშინ სტუდენტს უღიარდება მხოლოდ 5 კრედიტი);
6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები 1 ან 2 კრედიტით ნაკლებია უნივერსიტეტის შესაბამისი საგნის კრედიტებზე, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს კომისია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული სასწავლო კურსის აღიარების შემთხვევაში, კომისია სტუდენტს კრედიტებს უღიარებს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას ეს საგანი გავლილი აქვს პირველად უსდ–ში. თუ ამ შემთხვევაში სტუდენტს დააკლდება საგანმანათლებლო პროგრამით სავალდებულო საგნებისათვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა;
7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა უნივერსიტეტის სასწავლო კურსების დასახელებას, კომისია უფლებამოსილია, ზოგადი ხასიათის საგანი სტუდენტს უღიაროს, როგორც შესაბამისი დარგის, სპეციალობის

შესავალი (მაგ. “მენეჯმენტი” როგორც “მენეჯმენტის საფუძვლები”), ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურიკულუმის საგნებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე (მაგ. “თანამედროვე პოლიტიკური სისტემა” შეიძლება აღიარებულ იქნას როგორც “დემოკრატიული მმართველობის პრინციპები” და სხვ.);

8. თუ სტუდენტს უნივერსიტეტის კურიკულუმთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე. წ. “დიფერენცირებული ჩათვლა”, მაშინ ხდება მისი აღიარება და შესაბამისი ქულის მითითება შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპების შესაბამისად;

9. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: ფრიადი (5) 91 ქულა A კარგი (4) 84 ქულა B დამაკმაყოფილებელი (3) 69 ქულა D 11. ე. წ. არადიფერენცირებული “ჩათვლის” აღიარება ხდება მხოლოდ უნივერსიტეტიდან გარიცხული და აღდგენილი სტუდენტების, აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში. ე. წ. არადიფერენცირებულ “ჩათვლას” ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული);

11. თუ სტუდენტის პირველადი უსდ იყენებს არა ECTS კრედიტებს, არამედ კრედიტების მინიჭების განსხვავებულ სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემა (ECTS) სისტემასთან;

12. თუ სტუდენტის პირველად უსდ–ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (ოფიციალური დოკუმენტი), რომელშიც მითითებული იქნება: თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირის მანძილზე სწავლობდა სტუდენტი ამ სასწავლო კურსს და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას). აღნიშნული კურსებისთვის ხდება პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე: 1,5–ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტები დამრგვალდება მთელ რიცხვამდე;

13. თუ სტუდენტის პირველადი უსდ იყენებს შეფასების არა 100 ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას, სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას შეფასების 100 ქულიან სისტემასთან;

14. აღდგენილი სტუდენტების მიერ გავლილი სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება აღნიშნული დოკუმენტის კრედიტების აღიარების რეგულაციების მუხლის მე-12 პუნქტში მოცემული წესის მიხედვით;

15. სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს კომისიას.

11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. უნივერსიტეტის სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს :
 1. რეგისტრაციის გაუვლელობა;
 2. დოკუმენტურად დადასტურებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა, რომელიც შეუძლებელს ხდის სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესში, უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
 3. პირადი განცხადება;
2. ამავე მუხლის 1 პუნქტის მე2 და მე3 ქვეპუნქტების მიზეზით სტატუსის შესაჩერებლად, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას;
3. მძიმე ან/და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემთხვევაში, სტატუსის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, ბრძანებით; სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ვადით;
2. სტუდენტის მიერ, სასწავლო პროგრამის დასრულება;
3. პირადი განცხადება;
4. სასწავლო კურსის ერთ საგანში, ზედიზედ სამჯერ კრედიტის ვერმიღება;
5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინარული დევნის შედეგად, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება;
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით;
7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. ამ პერიოდში, სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და მას შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით სხვა უნივერსიტეტში;
8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

1. სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს უმაღლესი განათლება;
2. სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროექტებში - კვლევების, დასაქმების თუ სხვა მიმართულებით;
3. მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროგრამების შესახებ;
4. ისარგებლოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით;
5. სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და მოითხოვოს დარეგისტრირებული არჩევითი საგნის შეცვლა.
6. სტუდენტი ვალდებულია ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საგანმანათლებლო ძირითადი და მინორ პროგრამის ფარგლებშია გათვალისწინებული;
7. გაეცნოს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს, წესდებას, მიღებულ სამართლებრივ აქტებს და დაიცვას უკლებლივ ყველა მოთხოვნა;
8. უნივერსიტეტში არსებული ადმინისტრაციული, აკადემიური თუ სხვა სახის პრობლემა წერილობით აცნობოს შესაბამის ფაკულტეტს.

14. აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები

აკადემიურ პერსონალი ვალდებულია:

1. შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში, ზუსტად და ხარისხიანად;
2. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი, აგრეთვე უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირების ადმინისტრაციული აქტები და მითითებები;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიზნებისათვის, “დასაქმებული” ჩაითვალოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირად.
4. საკუთარი ქონებით აგოს პასუხი მისთვის გადაცემული მატერიალური ფასეულობების გაფუჭების, დაკარგვის ან დაზიანებისათვის. ასევე თავისი ქმედებით დამსაქმებლისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის/ზარალისათვის.

აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

1. მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;
2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
3. მოსთხოვოს დამსაქმებელს შრომის უსაფრთხო და დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი პირობები;

4. მოსთხოვოს დამსაქმებელს შრომის დროული ანაზღაურება;
5. გაეცნოს და განუხრელად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები;
6. დაემორჩილოს უნივერსიტეტის წესდებასა და შინაგანაწესს, თავისი სპეციალობისა და კომპეტენციის ფარგლებში მაღალხარისხოვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, უშუალო ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის მითითებები და ინსტრუქციები, იყოს ყურადღებიანი და მოწესრიგებული, დაიცვას სამსახურებრივი დისციპლინა, პატივისცემით, ეთიკის ნორმებისა და კოლეგიალობის დაცვით მოეპყრას თანამშრომლებსა და გულისხმიერად მოეკიდოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
7. დაიცვას და შეასრულოს სანიტარული მოთხოვნები, როგორცაა სამუშაო ადგილის შენახვა მოწესრიგებულ მდგომარეობაში. უზრუნველყოს დამსაქმებლის ქონებისა და მოწყობილობების სათანადო მოპყრობა და მათი ექსპლუატაციის წესების დაცვა. გაუფრთხილდეს როგორც მის დროებით სარგებლობაში გადაცემულ, ასევე დამსაქმებლის საერთო ქონებას და დაიცვას იგი დაზიანებისაგან ან/და განადგურებისაგან;
8. დროულად გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე, დროულად, ხარისხიანად და გულისხმიერად შეასრულოს სამუშაო.
9. შეატყობინოს დამსაქმებელს ნებისმიერი ცვლილება თავის პირად მონაცემებში (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი და ა. შ.);

15. აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მინიჭება

1. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტს ანიჭებს ფაკულტეტი მას შემდეგ რაც სტუდენტი დაასრულებს საუნივერსიტეტო განათლების საფეხურს;
2. დოქტორანტურის სტუდენტს, დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტური დებულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

16. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. სტუდენტები სურვილისამებრ გადაყვანილ იქნებიან ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში მოქმედ მსგავს პროგრამაზე შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით ;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
3. გეგმა ითვალისწინებს მსგავსი სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის მისანიჭებლად შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას;
4. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი სხვა დაწესებულებასთან გააფორმებს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმებას და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

17. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

1. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქე მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან აკადემიურ საქმიანობაში პროფესიული აღიარებისთვის;
2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს:
 - ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევა;
 - ბ) აკადემიურ განათლებასა და სამეცნიერო კვლევის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;
 - გ) უნივერსიტეტისთვის გაწეული განსაკუთრებული სამსახური.
3. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭება ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე;
4. საპატიო დოქტორის მფლობელ პირს გადაეცემა - საპატიო დოქტორის წოდების დამადასტურებელი დიპლომი, რექტორის ხელმოწერით, დეკანის ხელმოწერით, უნივერსიტეტის ბეჭდით, საპატიო მედლით.

18. დიპლომის, მოწმობის გაცემა

1. აკადემიური ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს დიპლომზე ფაკულტეტის დეკანისა და რექტორის ხელმოწერა, უნივერსიტეტის ბეჭედი და სტანდარტული დიპლომის დანართი;
2. სტუდენტს, რომელმაც ვერ დაასრულა რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამა, ეძლევა შესაბამისი მოწმობა.

19. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს რექტორის ბრძანების საფუძველზე;
2. ახალი წესის მიღებით ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე დოკუმენტი.